

ბრძანება №3/49

15.04.2009

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006
წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2009 წლის 23 თებერვლის №1-10/342 კორესპონდენციის, აგრეთვე ბათუმის საჯარო რეესტრის 2009 წლის 10 თებერვლის №6366 წერილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის თანახმად

ვბრძანებ:

1. “საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის – “ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2006 წ. №9, ნაწ. IV, მუხ. 3819) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

დანართში შეტანილი რიგითი ნომერი 59 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით – „ზ. გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №8/30“.

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტების მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე ასახვა.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროვას ქუჩა №7).

მინისტრის პირველი მოადგილე

დავით ცხადაძე